Capalac AllGrund

სწრაფად შრობადი საგრუნავტი მასალა, არომატის გარეშე
და შესანიშნავი ადჰეზიური თვისებებით.

ColorExpress

მასალის აღწერა

გამოყენების სფეროები	გამოიყენება როგორც ადჰეზიური, სწრაფად შრობადი საგრუნტავი საფარი, კოროზიისაგან სრულფასოვანი დაცვით, რკინისა და ფოლადის ზედაპირებისთვის. ასევე გამოიყენება, როგორც ადჰეზიური საგრუნტავი საფარი ალუმინის, სპილენძის, თუთიის, მყარი პოლივინილქლორიდის, ხის და ხისგან ნაწარმოები მასალის ზედაპირებზე.
თვისებები	■ სრულფასოვანი დაცვა კოროზიისგან რკინისა და ფოლადის ზედაპირებისთვის ■ შესანიშნავი ადჰეზია მრავალ ზედაპირზე ■ ატმოსფერული მოვლენების მიმართ მედეგი ■ არომატების გარეშე ■ სწრაფად შრობადი: 3-დან (თეთრი და ღია ტონები) 6 (ინტენსიური ტონები) საათამდე ■ შესაძლებელია დაიფაროს ნებისმიერი ლაქით - ალკიდური ფისის ბაზაზე
პროდუქტის ბაზა	ხელოვნური ფისების სპეციალური კომბინაცია - აქტიური პიგმენტებით და არომატების გარეშე გამხსნელებით.
შეფუთვა	■ **სტანდარტული ფერები:** 125 მლ, 376 მლ, 750 მლ, 2.5 ლ, 10 ლ. ■ **ColorExpress:** 500 მლ, 1.0ლ, 2.5 ლ, 10 ლ.
ფერი	თეთრი, შავი. სუფთა თეთრი RAL 9010, წითელი ოქსიდი RAL 3009, მწვანე რეზედა RAL 6011, მოვერცხლიდფრო ნაცრისფერი RAL 7001, მოკაკლისფრო ყავისფერი RAL 8011, შავი RAL 9005. დამატებით ColorExpress - ის სისტემის ფერთა კოლექციაში არსებულ სხვა ფერებში. სუსტი დაფარვის მქონე ფერების (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი) გამოყენებისას გირჩევთ ფერის შესაბამისი საგრუნტავი ფენის დატანას. Capalac Allgrund-ის შეფერადება შესაძლებელია საგრუნტავი სისტემის ფერებში, ColorExpress-ის შეფერადების ტექნიკით.
სიპრიალის ხარისხი	აბრეშუმისებრი-მქრქალი
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ პირობებში, მჭიდროდ თავდახურულ მდგომარეობაში.
ტექნიკური პარამეტრები	■ სიმკვრივე: დაახლ. 1,27–1,33 გ/სმ^3 , ფერის შესაბამისად.

CAPAROL

გამოყენება

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია№ 606-ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
○	○	○	+	+
(–) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

შესაფერისი ზედაპირები

ხე, ხისგან ნაწარმოები მასალები, რკინა, ფოლადი, თუთია, ალუმინი, სპილენძი, მყარი პოლივინილქლორიდი, და მზიდუნარიანი ძველი დანაფარები.
არ გამოდგება ანოდირებული ალუმინისთვის!
ზედაპირი უნდა იყოს მყარი, მშრალი, სუფთა, მასზე არ უნდა იყოს ადჰეზიურობის ხელის შემშლელი ნივთიერებები.
ზუსტი ზომის მქონე ხის ელემენტების ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13%-ს, ხოლო ნაწილობრივ და უზუსტო ზომის მქონე ელემენტების 15%-ს.
ყურადღება: მოთუთიებულ ფოლადის ან თუთიის ფურცელის ზედაპირის მომზადების შემდეგ სავალდებულოა მოხდეს ორმაგი დაფარვა Capalac Allgund-ით. ეს უზრუნველყოფს ალკიდური ფისის ლაქით საბოლოო ფენის დატანისას თუთიის ოქსიდაციის შედეგად ადჰეზიის შემცირების აღმოფხვრას. ალტერნატიულად Capalac Allgund-ის მაგივრად შესაძლებელია Capalac 2K-EP-Haftgrund-ის ან Disbon 481 EPUniprimer-ის გამოყენება. თუთიის ელემენტების დაფარვის კიდევ ერთი ვარიანტია ერთი ფენა Capacryl Haftprimer-ი და შემდეგ შუალედური და საბოლოო ფენა Capacryl PU-Satin/Gloss-ი. იმ შემთხვევაში თუ თუთიის ელემენტი მოითხოვს დამცავი ფენით დაფარვას უმჯობესია გამოიყენოთ Capalac Dickschichtlack-ი.

ხის ელემენტები: ხის ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გასუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). ბასრი კანტები დაიშლიფოს.

რკინა, ფოლადი: რკინა და ფოლადი გაიწმინდოს წმენდის სტანდარტით SA 2½ (ქვიშის ჭავლით) ან ST3 (მანქანურად). DIN EN ISO 12944-4 სტანდარტის შესაბამისად.

თუთია, მყარი პოლივინილქლორიდი: გაიწმინდოს ამიაკის შემცველი საშუალებით და პლასტიკური აბრაზიული ფლისით, ან Gescha MultiStar-ით და აბრაზიული ფლისით.

ალუმინი: დამუშავდეს ნიტრო გამხსნელით ან ფოსფორის მჟავით და გაიწმინდოს პლასტიკური აბრაზიული ფლისით.

სპილენძი: დამუშავდეს Gescha MultiStar-ით (გაზავებული პროპორციით 1:5) და აბრაზიული ფლისით.

ძველი მზიდუნარიანი დანაფარები: დაიშლიფოს და დამუშავდეს ტუტეთი. არამზიდუნარიანი საფარი მოშორდეს.

დატანის მეთოდები

მითითებები მიფრქვევით დატანისას:

	Ø ნახვრეტის სისქე	წნევა	გაზავება
მაღალი წნევით	1,5–1,8 მმ	3-4 ბარ	დაახლ. მოცულობის 10%
დაბალი წნევით	1,5 მმ	0,2-0,5 ბარ	დაახლ. მოცულობის 10%
უჰაერო (Airless)	0,011–0,013 ინჩი	150 ბარ	ქარხნული კონსისტენცია

Capalac AllGrund-ი შესაძლებელია დატანილ იქნას ფუნჯით, სამრეცხო გორგოლაჭით და საჰაერო/უჰაერო მიფრქვევით.
კარგად ამოურიეთ გამოყენებამდე და საჭიროების შემთხვევაში გაათხელეთ Caparol AF-Verdünner-ით.

დაფარვის თანმიმდევრობა

ზედაპირი	გამოყენების არე	ზედაპირის მომზადება	გაუღენთვა	გრუნტი	შუალედური ფენა	საბოლოო ფენა
ხე, ხისგან დამზადებული მასალები	ინტერიერი	გაიშლიფოს / გაიწმინდოს	-	Capalac AllGrund	საჭიროების შემთხვევაში Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი
ხე	ექსტერიერი	BFS Nr. 18	Capalac Holzim-prägniergrund	Capalac AllGrund	Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	
რკინა, ფოლადი	ინტერიერი	მოშორდეს ჟანგი / გაიწმინდოს	-	Capalac AllGrund	საჭიროების შემთხვევაში Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	
	ექსტერიერი	მოშორდეს ჟანგი / გაიწმინდოს	-	2 x Capalac AllGrund	Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	
თუთია	ინტერიერი	BFS Nr. 5	-	Capalac AllGrund	საჭიროების შემთხვევაში Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	
	ექსტერიერი	BFS Nr. 5	-	2 x Capalac AllGrund ან 1 x Capalac 2K-EP-Haftgrund ან 1 x Disbon 481 EP	Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	
ალუმინი / სპილენძი	ინტერიერი	BFS Nr. 6 Gescha Multistar 1:5 აბრაზიული ფლისი	-	Uniprimer Capalac AllGrund	საჭიროების შემთხვევაში Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	
	ექსტერიერი	BFS Nr. 6 Gescha Multistar 1:5 აბრაზიული ფლისი	-	Capalac AllGrund	Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	
მყარი PVC	ინტერიერი / ექსტერიერი	BFS Nr. 22	-	Capalac AllGrund	საჭიროების შემთხვევაში Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	
ძველი მზიდი დანაფარი	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს / დამუშავდეს ტუტეთი	- [1]	Capalac AllGrund [1]	Capalac-ის თეთრი ან ფერადი ლაქი	

1) დაზიანებული ადგილები დაამუშავეთ არსებული ზედაპირის შესაბამისად.

მითითება: ფხვნილოვან ან Coil-Coating-საფარზე მოახდინეთ საცდელი დატანა ადჰეზიის შესამოწმებლად.

ხარჯი

მლ/მ2, 1 ფენაზე	ფუნჯით	გორგოლაქით	მიფრქვევა		
			მაღალი წნევა	უჰაერო	დაბალი წნევა
ვერტიკალურად	90-100	80-90	120	130	120
ჰორიზონტალურად	110	110	170	170	160

ზ.ა. მონაცემები არის საორიენტაციო და დამოკიდებულია ზედაპირისა და გარემო თავისებურებებზე. პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ სასინჯი დატანით.

გამოყენების პირობები

ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში: ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ +5 °C. (იდეალური 10-25°C). ჰაერის ტენიანობა: ≤ 80 %

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში*	მტვერის მიმართ მედეგი	შეხებით მშრალი	მომდევნო ფენის დატანისთვის მზად
საათები	0,75	3-6**	დაახლ. 3 (თეთრი და ღია ფერები) დაახლ. 6 (ინტენსიური ფერები)

*	უფრო დაბალი ტემპერატურის, მაღალი ტენიანობის და სქლად დატანის შემთხვევაში შრობის ხანგრძლივობა იზრდება.
**	სტანდარტული თეთრი ფერსა და ღია ფერებზე (თეთრი ფერის ბაზაზე) ალკიდური ლაქის მომდევნო ფენის დატანა შესაძლებელია 3 საათში, ხოლო ინტენსიურ ფერებზე (გამქვირვალე ბაზაზე) - 6 საათში. წყლის ბაზაზე ლაქით მომდევნო ფენის დატანისთვის საჭიროა 12 საათიანი შრობის პერიოდის დაცვა.

ხელსაწყოები

სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს White-Spirit-ით (გამხსნელის ტიპი).

შენიშვნები

უსაფრთხოების ნორმები

მარტივად აალებადი, ცეცხლსაშიში. ხშირი შეხებისას შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე და დახეთქვა. აორთქლილმა აირმა შეიძლება გამოიწვიოს სიფხიზლის დაქვეითება და გონების დაბინდვა. მოარიდეთ ბავშვებს! მოარიდეთ ცეცხლს - არ მოწიოთ. მიფრქვევის დროს არ შეისუნთქოთ. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყლის მილებსა თუ ნიადაგში მოხვედრა. არასაკმარისი ვენტილაციის პირობებში გამოიყენეთ რესპირატორი. გამოიყენეთ მხოლოდ კარგად ვენტილირებულ შენობებში. გადაყლაპვის შემთხვევაში არ გამოიწვიოთ ხელოვნურად პირღებინება. მაშინვე მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ შეფუთვა, ან ეტიკეტი. ჰერმეტულად დახურული შეფუთვა შეინახეთ კარგად ვენტილირებულ ადგილას. მოარიდეთ კანზე, ან თვალში მოხვედრას. შესაძლებელია გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. შეფუთვა პროდუქტის ნარჩენით ჩააბარეთ ძველი ლაქების ჩამბარებელ პუნქტში.

VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/h): 500 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 500 გ/ლ აქროლებად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი

M-GP02

შემადგენლობა

ალკიდური ფისი, ტიტანის დიოქსიდი, პიგმენტები, სილიკატები, კალციუმის კარბონატი, ლითონების ნარევის ფოსფატი, ალიფატები, დანამატები, შრობის ხელშემწყობი ნივთიერებები (Cobaltneodecanoat), აპკის წარმოქმნის დამაბრკოლებლები (Butanonoxim).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ - პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს. კაპაროლ ჯორჯია
ალ.ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge